


საქართველოს სსრ შიგნითი კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 იანვარი, სამშაბათი, 1987 წ. № 8 (9419) • შანი 8 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



მომავალი ოლიმპიკების ოსტატობის შემოქმედის ნიჭი... მომავალი ოლიმპიკების ოსტატობის შემოქმედის ნიჭი... მომავალი ოლიმპიკების ოსტატობის შემოქმედის ნიჭი...

საქართველოს კოკაპეირის XXXIII ყრილობის დელეგატი

ნდობას გავამართლავ

დღეს ბევრს წერენ და ლაპარაკობენ აქსელერაციზზე და უკვე აღარაფერს აკვირებენ ის, რომ უმცროსი ასაკის სპორტსმენები დიდ წარმატებას აღწევენ. მიუხედავად ამისა, ბატუტზე მსტომელ რუსულ-დან ზოფერის შარშანდელმა წარმატებებმა მაინც გაგვაოცა. ჩვენი ქვეყნის ხალხთა IX სპორტაკადემიის მონაწილეთა შორის ყველაზე უმცროსმა, 13 წლის რუსულანმა, ტოლო არ დაუღო ბატუტზე ხტობის მსოფლიოში ცნობილ ოსტატებს. რუსულანი ყველაზე უმცროსი იყო ევროპის იუნორთა პირველობაზეც. სადაც მან გუნდურ შეჯიბრებებში პირველი ადგილი, ხოლო სინკრონულ გამოსვლებში ვერცხლის მედალი მოიპოვა. გასული წელი გიგონას იმითაც დაამახსოვრა, რომ იგი ნოემბერში კომკავშირის რიგებში მიიღეს და მალე საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატადაც აირჩიეს.

დღეს სპორტსმენს დიდი დრო ხტობდა სავარჯიშოდ, თანაც შეჯიბრებებში მონაწილეობა დიდ დროს ართმევს... ჩემი კლასი, ვსწავლობ 48-ე სკოლაში, ასე ვთქვათ სპორტული ველებით გავამართლო ეს ნდობა. სწავლაშიც მეტი მონდობების გამოჩენა მმართველს.

და როცა გაცვეთილებს საპატო მიზნით ვაცდენთ, მასწავლებლები გვემარაბებიან, რომ პროგრამას არ ნამოვრჩეთ.

ვიცი, რომ კომკავშირის რიგებში მხოლოდ რჩეულებს იღებენ, რადგან კომკავშირელი ყველაფერში სამაგალითო უნდა იყოს. კომკავშირელი ფორუმის დელეგატად სპორტულ სარბიელზე მიღწეული წარმატებებისათვის ამირჩიეს, ამიტომ ვეცდები გამარჯ-



და როცა გაცვეთილებს საპატო მიზნით ვაცდენთ, მასწავლებლები გვემარაბებიან, რომ პროგრამას არ ნამოვრჩეთ.

რუსულან, ყრილობაზე რომ ხტოვებო, თქმის უფლება მოგცენ, რას იტყვი?

იმას, რომ გვერდებზე ბატუტის სპეციალიზებული სკოლა, რაც შეიძლება მეტი კვალიდითი იმეორებელი.

წელს რით გავვახარებ?

შარშანდელმა წელმა დიდი სიხარული მომიტანა, მაგრამ გულიც დამწყვიტა. მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მივიღე მონაწილეობა, ევროპის იუნორთა პირველობაზეც უკეთესად შემეძლო გამოსვლა. წელს ბევრი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ჩატარდება. თებერვალში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება მოეწყობა, აპრილში კი ესპანეთში გავემგზავრები — ესპანეთ-საბჭოთა კავშირის სამატო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. უფრო გვიან ევროპის ჩემპიონატი გაიმართება, მერე მსოფლიო თასისთვის მებრძოლები შეიკრიბებიან სასპარტეოდ. მინდა ამ შეჯიბრებებში ისე გამოვიდე, რომ ჩემი მწვრთნელისა და გულშემატკვრების ნდობა გავამართლო.

ანდრეი ტოროსიანი უპლირესთა ექვსეული

სსრ კავშირის ჩემპიონატში ფიგურულ ციფურაობაში კარგად დაიწყო ასპარეზობა თბილისელი სპორტსმენმა ა. ტოროსიანმა — მამაკაცთა შორის ინდივიდუალურ შეჯიბრებაში იგი IV ადგილზე იყო

სავალდებულო პროგრამის შემდეგ, სამწუხაროდ, მეორე სახეობაში, მოკლე ნებისმიერ პროგრამაში, ორი სერიოზული შეცდომა დაუშვა ხტომების დროს და XII ადგილზე გადაინაცვლა. ტოროსიანმა მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია.

რეობის გამოსწორება შესაძლებელია, ნებისმიერი პროგრამის შეხრულებიან ნაწილობრივ მიიწვ შეძლო. სამი ხანძრობის ქაში ჩვენი მოციგურავე საბოლოოდ VI ადგილზე გავიდა.



დარჩა 4 მატჩი

როგორც ვიუწყებოდათ, შაბათს, 10 იანვარს ტალინში შედგა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი გამტოვებული შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკსა“ და ცსკა-ს შორის. გამარჯვება „სპარტაკმა“ მოიპოვა — 81:73 (50:40). მეორე წრის დამთავრებამდე ჩასატარებელი დარჩა ოთხი შეხვედრა, მათ შორის ორი თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით. ჩვენი გუნდი 17 და 18 იანვარს დონეცკში ადგილობრივ „შახტიორსა“ და მოსკოვის „დინამოს“ უნდა ეთამაშოს. აი, სწორედ ეს შეხვედრები გამოავლენს დინამოსტა ექვსეულის სამ მონაწილეს (დინარჩენი სამი გუნდის ბედი უკვე გარკვეულია. ცსკა-მ, „ალგორისმა“ და ვეფ-მა უძლიერესთა ტურნირში თამაშის უფლება პრაქტიკულად უკვე გაიანდ-

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დღეს, როგორც ცხრილიდან ჩანს სამი საგზურისთვის რეალურად ოთხი გუნდი იბრძვის — ასკ (კიევი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (თბილისი) და „შახტიორი“ (დონეცკი). დონეცკის დასკვნით ტურში ერთმანეთს შეხვედებიან: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მოსკოვი), „ალგორისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი) და „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი).

გათამაშების ცხრილი

თ. მ. წ.	ბ.	ქ.
ცსკა	22 17 5	2075-1801 89
„ალგორისი“ (კაუნასი)	21 15 6	1854-1725 86
ვეფ (რიგა)	22 18 9	2011-1975 85
ასკ (კიევი)	22 12 10	1835-1890 84
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	22 12 10	1808-1768 84
„დინამო“ (თბილისი)	20 12 8	1548-1624 82
„შახტიორი“ (დონეცკი)	20 11 9	1591-1602 81
„ხტოტიკელი“ (კიევი)	22 8 14	1841-1843 80
„ხტობა“ (ვილინი)	22 8 14	1802-1896 80
რტი (მწ.)	22 6 16	1762-1801 28
ასკ (ა.-ათა)	22 6 16	1774-1924 28
„დინამო“ (მოსკოვი)	19 8 11	1646-1698 27

პროგნოზი (ბულგარეთი).

ბიატონისტთა საერთაშორისო ტურნირის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ესტაფეტაში სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოიგო (დომიტრი ვასილიევი, ანატოლი ქრანოვიჩი, ვალერი მელვედცევი, ალექსანდრე პოპოვი). პრად. კაუნასის „გრანტასის“ ხელბურთელებმა ფედერაციის თასის გათამაშების მეოთხედფინალში პრალის „სლავია“ დაამარცხეს — 26:16 (10:8). პრად. თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში ცსკა-ს ხელბურთელები „ლოფციგთან“ დამარცხდნენ — 14:17 (8:9).

შედეგები - ქიმიკალი

ამ ტრადიციულ სახალწლო ტურნირში საბჭოთა კავშირიდან კიდევ ორი დიდოსტატი მონაწილეობდა. ალექსანდრე ბელიავსკიმ 5,5 ქულით V-VIII ადგილები გაიყო. 4,5 ქულა მოაგროვა ალექსანდრე ჩერინმა.

სსრ კავშირის 1987 წლის სპორტული სეზონის პირველი ჩემპიონატი

კაუნასში გამართულ საბჭოთა კავშირის იუნორების პირად-გუნდურ პირველობაზე ბადმინტონში, წყევანდელ ხელონში პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია



თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ინგა ბერიძემ, მან ორი ოქროს (პირადი და გუნდური) და ორი ვერცხლის (შერეულ და წყვილთა თანრიგში) მედალი მოიპოვა.

კაუნასში უფრო ახალი შეჯიბრების შედეგებს ინტერესითა და იმედით ელიან სპორტის გულშემატკვრები. სწორედ ამ ტურნირებზე მოწმდება ჩვენი სპორტის უახლოესი რეზერვი. ახალი სპორტული სეზონის სტარტზე პირველი წარმატებით გავვახარებს საქართველოს თავისუფალი სტილის მოქედვეებმა, რომლებმაც 1970-72 წლებში დაბადებულთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზე ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.



კალინინგრადში გამართულ ამ შეჯიბრებაში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდების 242-მა სპორტსმენმა იასპარეზა. 48 კგ წონით კატეგორიაში ბადალი არ ჰყავდა სამტრედიელ დავით ბელთაძეს („სპარტაკი“, მწვრთნელები ა. ნიკურაძე და ბ. პაპაშვილი). მან ყველა მებრძოლ დამარცხებულ დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედლები მიიღეს „შრომითი რეზერვის“ წარმომადგენელმა გიორგი ივანიშვილმა (70 კგ) და სპარტაკელმა აკაკი გობედიამ (81 კგ). ბრინჯაოს — გოჩა მაკოევა (56 კგ, „შრომითი რეზერვი“), გიორგი ხინჩიკაშვილი (65 კგ, „ბურვესტნიკი“) და მერაბ ვალიევმა (99 კგ, „შრომითი რეზერვი“). გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება სპარტაკელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს, მეორე ადგილზე გავიდა „შრომითი რეზერვის“ ნაკრები, მესამე — დინამოელთა კოლექტივი.

პრანატკინის მემორიალზე

ლენინგრადის დაბურულ სპორტულ დარბაზში გრძელდება სპორტის დამსახურებულ ოსტატის გ. გრანატკინის ტრადიციული მემორიალი ფეხბურთში.

11 იანვარს შედგა 3 მატჩი, ყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების შეხვედრა. პირველი გუნდის ფეხბურთელები ერთი წლით უფროსნი არიან და გამარჯვებამათ ხვდათ წილად — 2:0.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეხვედრა და საფრან-

გეთის გუნდების შეხვედრა, ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს შეხვედრა. ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების მატჩში წარმატება წილად ხვდათ ჩეხოსლოვაკელებს — 3:1.

3 ტურის შემდეგ ტურნირზე 6 ქულით წინაა სსრ კავშირის პირველი ნაკრები, ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება სსრ კავშირის მეორე გუნდი, 3 ქულით აქვთ საფრანგეთის ფეხბურთელებს, 2-2 — შვეიცია და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს და ერთი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს.

გერმანია მსოფლიო ჩემპიონატი

გერმანიის ფეხბურთელთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც ამჟამად ბრაზილიის ქალაქებში სან-პაულუსა და სანტოსში მიმდინარეობს, თავდაპირველად გამოცხადებული იყო პირველ ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად. მატჩში მონაწილეობა უნდა მიეღოთ 6 სახელმწიფოს გუნდებს, რომლებსაც სხვადასხვა დროს მსოფლიო ჩემპიონობა ეპყრათ, ფეხბურთელთა ასაკი განსაზღვრული იყო 34 წლითა და უფრო მეტით, მაგრამ შემდგომში, შეჯიბრების დაწყების შემდეგ, მას რატომღაც აღარ იხსენიებენ როგორც მსოფლიო ჩემპიონატს, შეჯიბრებას „ბელეს თასი“ დაარქვეს, პრიზად დააწესეს თვით ამ ფეხბურთელის თითქმის ნატურალური სდამადლის ქანდაკება, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მხოლოდ აქტიური ზედამხედველის როლი ითავა, ტურნირის ორგანიზატორად კი ბრაზილიელთა მჭვრთელი ლუ ვალე გამოაცხადეს.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად არ ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი, კერძოდ, ფრანც ბეკენბაუერი, რაც გარკვეულ ჩრდილს აყენებს ამ დიდ ტურნირის სპორტულ პრესტიჟს. გარდა ამისა, არ გამოქვეყნებულა ტურნირის კალენდარი, ბრაზილიდან სტაბილურად არ მოდის ცნობებიც შეჯიბრების მსვლელობაზე.

ბოლო ცნობა ის იყო, რომ სანტოსში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდები, დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს საგრძნობი

უპირატესობა ეპყრათ, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

გუნდში მოგვიანებით რედაქციამ მიიღო „ბელეს თასის“ ტურნირის ახალი ცნობები.

დიდ ინტერესს იწვევდა ბრაზილიისა და არგენტინის გუნდების შეხვედრა და, მიულოდნოდ, ბრაზილიელებმა მარცხი იწვეინეს — 1:3 (პირველი ტაიმი — 0:2). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს მასმა და გონზალესმა (2), ხოლო დამარცხებულთაგან — ჟაირზინომ. იტალიელებთან, რომ ბრაზილიის გუნდის ხელმძღვანელობას საფუძვლიანად მოუხდა შემაღლენობის გადახალისება მას შემდეგ, რაც პელებმ დატოვა ტურნირი, ხოლო წინა მატჩში მიღებული ტრავმის გამო ვერ ითამაშა რიველინომ.

კვლავ წარუმატებლად გამოდის იტალიის ნაკრები, რომელსაც ჯერჯერობით არც ერთი ქულა არა აქვს. განვილო კვირას იტალიელებმა მარცხი განიცადეს ურუგვაის ნაკრებთან შეხვედრაში — 1:2 (0:0). ანგარიში იტალიელმა ბონისენიამ გახსნა, საპასუხო ბურთი იანგზმა გაიტანა, შემდეგ კი კასტილიომ ზუსტი დარტყმით გამარჯვება მოუტანა ურუგვაელებს.


საინტერესოა ვეტერანთა ტურნირის ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	2	1	1	0	4-2	3
გერ	2	1	1	0	3-2	3
ურუგვაი	2	1	1	0	2-1	3
ბრაზილია	3	1	1	1	4-3	3
იტალია	3	0	0	3	2-7	0

უნივერსიადა-86

გთავაზობთ ცხრილს, სადაც მოხაუღია უნივერსიადაში მონაწილე კოლექტივებიდან ვინ რამდენი საპრიზო ადგილი მოიპოვა გუნდურ შეჯიბრებაში

კატეგორია	ადგილი		
	I	II	III
I ჯგუფი			
საქართველოს ფიჭულტურის ინსტიტუტი	14	2	3
თბილისის უნივერსიტეტი	1	10	9
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი	7	8	7
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი	1	0	3
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი	0	3	1
II ჯგუფი			
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი	8	6	2
თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი	5	1	1
ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი	2	3	2
საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი	2	1	2
ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი	1	2	5
სოხუმის უნივერსიტეტი	1	2	0
ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი	1	2	3
თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი	1	3	0
გორის პედაგოგიური ინსტიტუტი	2	0	2
სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი	0	1	0
III ჯგუფი			
თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი	9	1	2
თბილისის სამხატვრო აკადემია	1	9	3
თბილისის თეატრალური ინსტიტუტი	4	1	4
თბილისის კონსერვატორია	1	2	0



გერმანიის სპორტსკოლების საკავშირო თამაშების

როგორც ცნობილია, სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებს წლიურს ჩვენი რესპუბლიკა უმასხინდლებს. საქართველოს სპორტული ორგანიზაციები პასუხსავენი ამოცანების წინაშე დგანან. სპორტსკოლების მოსწავლეთა თამაშები დიდ და ლამაზ წეიმაღ უნდა აქცეს, რათა მის ნორჩ მონაწილეებს საშუალოდ დაამზნსოვრდათ ჩვენს რესპუბლიკაში გატარებული დღეები.

წეიმი წეიმაღ, მაგრამ ამ დონისძიებაში წარმატებით გამოხვლა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა უპირველესი ამოცანაა. სწორედ ამიტომ ბევრ სახეობა-

ში გუნდები აქედანვე შეუდგნენ სერიოზულ სამზადისს. ფოტოსურათებზე, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, ამ სამზადისის ერთი ფრაგმენტია აღბეჭდილი. ტანმოვარჯიშები ბათუმში 18-26 ივნისს იასპარეზებენ. ცხადია, ამ ნორჩებიდან რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა უყველას არ მოუხდება, გამოცდილი მწვრთნელები და სპეციალისტები უძლიერესთა შორის უძლიერესებს შეარჩევენ. დღეს კი... ნაკრების კანდიდატები გაათქციებული მონდომებით ვარჯიშობენ. დასამალი რაა, ნაკრებში მოხვედრა ხომ ყველა მათგანის ოცნებაა.



ბილიკი ოლიმპიური რინგისკენ მიდის

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს სპორტსკოლის კოლექტივამ ამ დღეებში განხილა მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების ზეინა ზდრიანისა და რუდიკ კაზანჯიანის მზადებას საკითხი. კოლექტივის შემდეგ სპორტსმენები და მათი მწვრთნელი გარი ხაჩატუროვი რედაქციაში მოიწვიეთ.

ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატობა ბევრს გვავალდებს და ჩვენც თავს არ დავზოგავთ, — გვეუბნება ზეინა ზდრიანი. რუდიკ კაზანჯიანიც ოპტიმისტურადაა განწყობილი, — რაკი ასეთი ბედნიერება გვხვდა წილად, შანსს ხელიდან როგორ გავუშვებო, — მტკიცედ ამბობს. და მაინც, მთავარია რას ფიქრობს მწვრთნელი? გარი ხაჩატუროვი თვლის, რომ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატობა ორივე მოკრივისთვის მართლაც დიდი პატივია, მაგრამ ნდობას გამართლებდა უნდა. ოლიმპიური თამაშებამდე უამრავი „შიდა“ თუ „გარე“ ტურნირია. აი, ამ შეჯიბრებებში უნდა ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია.

პირველად ხად იასპარეზებთ? გ. ხაჩატუროვი: 6 იანვარს კაუნასში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი დაიწყება, შეჯიბრებაზე საკმაოდ ძლიერი გუნდით წარვსდგებით: ზეინა, მემეი კაზანჯიანი, იური სალოჩკინი, დავით შარვაშიძე, ეროსი მარგანი, დომენტ დანელია, ალი მამელიანი... ამ ჩემპიონატისთვის 23 ნოემბერს დაიწყეთ მზადება, ბოლო შეკრებას სოხუმში გავმართებთ.

საქართველოს სპორტსკოლის კოლექტივზე აღმათ ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა... გ. ხაჩატუროვი: დიას, ჩვენს მიმართ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ. ბოლო დროს კრევმა ერთ-ერთი საპატო ადგილი დამკვიდრა რესპუბლიკაში. ეს სწორედ ყურადღების, თანადგომის შედეგია. მოგეხსენებათ, კაცის ბუნება ასეთია, თუ დარწმუნდა, რომ მისით ინტერესდებიან, წარმატება

ინფორმაცია

რეიტ-იზ-ვიცალი (გფრ). გაიმართა სათხილამურო ორქიდელოთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი. გამარჯვება ამჯერად შვეიცარიელმა ფრედ გლანცმანმა მოიპოვა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი 21 წლის ტალინელ აღარ ლევიანდის ჰქონდა (VII ადგილი). ხუთი ეტაპის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს შვეიცარიელი პიპოლიტ კემფი. ლევიანდ მეორე ადგილზეა. **სანატ-მორიცი**. ბოსნიისკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ორადგილიანებით შეჯიბრება შვეიცარიელებმა რაღვ ჰიხლერმა და სელესტ პოლტერმა მოიგეს.

ნიუ-იორკი. ნსლ-ს ჰოკეისტთა ჩემპიონატმა „მეკატორი“ გადალახა. გუნდებმა 42-42 შეხვედრა ჩაატარეს, ლიდერობას ჯერჯერობით „ფილადელფია ფლაიერსი“ ინარჩუნებს — 60 ქულა. მეორე ადგილზეა „ედმონტონ ოილერსი“ — 54 ქულა, მესამეზე — „კალგარი ფლემინგსი“ — 51 ქულა. აუტსაიდერთა შორის არიან ვანკუვერის, ბუფალოს, ვანინგტონისა და ნიუ-ჯერსის კლუბები.

სტოკოლმი. შვეიცის ჰოკეისტთა ჩემპიონატში დაწინაურდა „ფერესტადტი“ — 32 ქულა. „იუგორდენსა“ და „ბიერკლევენს“ 5 ქულით ნაკლები აქვთ.

პელსინა. ფინეთის ჰოკეისტთა ჩემპიონატში 30 ტური გათამაშდა. პირველი ადგილზეა ტანს, რომელსაც 40 ქულა აქვს.

ბონი. „როზენჰაიმის“ კლუბმა გფრ-ის ჰოკეისტთა ჩემპიონატში 37 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

დელი. მოეწყო მაგიდის ჩოგბურთელთა 39-ე მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები ქვეჯგუფში აშშ-ს, ტაილანდისა და ირლანდიის გუნდებთან იასპარეზებს, ქალთა კოლექტივი კი ლუქსემბურგისა და ტაილანდის გუნდებს შეხვდება.

ვილნიუსი. ფიგურისტთა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი ქალთა ერთეულებს შორის მოსკოველმა ანა კონდრაშოვამ მოიგო. ცეკვებში სხეებზე უკეთ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ნატალია ბესტემიანოვა და ანდრეი ბუკინი გამოვიდნენ.

ახალი წელი პრეზიდენტის მიერ

წამილის არდადეგების დღეებში თბილისის სპორტკომიტეტმა გაეცა საკურორტო აუზში საქალაქო მორისო შეჯიბრება მოაწყო და სასპორტული ლავის, ყაზანის, ერევანის, ალმა-ათის, კიშინიოვის, მინსკის, ბაქოსა და თბილისის ნორჩი წყალბურთელები (1971-72 წ.წ. დაბადებულნი) მოიწვია. სამწუხაროდ, თბილისის ჩამოსვლა მხოლოდ მინსკის, ალმა-ათისა და კიშინიოვის ნაკრებები გუნდების წევრებმა შეძლეს. თბილისელი სპორტსმენები ამ შეჯიბრებაზე ორი ნაკრებით წარსდგნენ. მათთან ერთად კონკურსგარეშე მონაწილეობდა თბილისის განათლების სამმართველოს გუნდიც. ეს გუნდი, რომლის წევრები 1970 წელს აიიან დაბადებულნი, დანარჩენებისთვის „საჯილდოო ქვა“ აღმოჩნდა. ამ დანარჩენებმა კი უფროსებთან დამარცხებით გაიცილებით მებრუნე ისწავლეს, ვიდრე ერთმანეთთან ბრძოლაში.

კონკურსში მონაწილეთა შორის უძლიერესი იყო ალმა-ათის ნაკრები, რომელმაც ყველა მებრუნე დაამარცხა და 8 ქულა მოაგროვა. მე-

ორე იყო თბილისის I გუნდი (6), მესამე ადგილზე მინსკის ნაკრები გავიდა (4).

— ამ ასაკის წყალბურთელებისათვის, ვფიქრობთ, ნადრეგია ასეთი მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება, — ვთხრობს საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარმა მწვრთნელმა წყალბურთში ვლადიმერ ბარნაბიშვილმა. — რადგან მსგავსი ასპარეზობები დიდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაძაბვას მოითხოვს, მაგრამ სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში, რომელიც წლეულს პირველად ტარდება, სწორედ ამ ასაკის წყალბურთელები დაიშვებიან და ჩვენც დადარდს ვიქტორი. მწვრთნელები იძულებულნი არიან თავიდანთი აღსაზრდელები ფორსირებული მეთოდით მოამზადონ, რაც, ვფიქრობ, ზიანის მტრს არაფერს მოიტანს. მწვრთნელები ქულების მოპოვებაზე იფიქრებენ და თავიანთ აღსაზრდელებს კონკრეტულ დავალებებს მისცემენ. ეს კი წყალბურთის ზრდას, მის შემდგომ დაოსტატებას მხოლოდ ხელს შეუშლის. ვიცი, რომ საკავშირო

თამაშების პირველ ეტაპზე რუსეთის ფედერაციის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს შეეხებოდა, მაგრამ კერძოდ რომელ გუნდებს, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ზოგიერთი გუნდების წევრებს, მაგალითად უკრაინისა და ყაზახეთის წყალბურთელებს, ერთად თამაშის გამოცდილება აქვთ, რადგან სკოლა-ინტერნატების გუნდებს წარმოადგენენ. ჩვენებზე კი ამას ვერ ვიტყვი.

ერთი სიტყვით, ჩვენი წყალბურთელებისა და მათი სტუმრებისთვის მოსწავლეთა არდადეგების დღეებს უკმაღო არ ჩაუვლია — იასპარეზეს, ერთგვარი გამოცდილებაც შეიძინეს და თბილისის, რუსთაისა და მცხეთის ლირსშესანიშნაობებიც დაათვალიერეს. ამ საქმეში შეჯიბრების მონაწილეებს დამარცხება გაუწვია თბილისის ორჯონიძის რაიონის საშუალო ორგანიზაციამ — ქარხანა „ეკლამ“, განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებულმა სპორტსკოლამ და რუსთავის სპორტკომიტეტმა.

ავთანდილ შავიშვილი.

სპორტული ეკონომიკა

საპარტიზო აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტის დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, წარმატებით წყდება მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალური საკითხები. ცხადია, კომიტეტის ყურადღების მიღმა არც ფიზკულტურა და სპორტი რჩება. აგრომრეწვი აშენებს ახალ სპორტულ ბაზებს, მის სამშენებლო ორგანიზაციებს სპორტული ბაზების რეკონსტრუქციის სამუშაოებზეც ნახავთ.

დიდი მუშაობას ეწევა საქსახაგრომრეწვის კომიტეტი სისტემის მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლისთვისაც. მთელი ამ საქმიანობის საკოორდინაციოდ კომიტეტში დაინიშნა შტატის სპეციალისტი. შრომით კოლექტივებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის თანამედროვე მეთოდების დონეზე ორგანიზაციის მავალით თა-

ვით მუშაობს კომიტეტი, წამილის ვარჯიში შეჯიბრება მინიფეხბურთისა და ქალაქში, რომელშიაც აპარატის 200-მდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

ფეხბურთელთა წინასწარ შეხვედრებს „თბილისის“ მოედნებზე უმსაძინძოა, ფინალური შეხვედრები კი „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსში გაიმართა. პირველი ადგილი და საქსახაგრომრეწვის პირველი ჩემპიონის წოდება მიიპოვა ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდმა, მეორე ადგილზე საშუალო ორგანიზაციისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს გუნდი გავიდა, მესამე ადგილი კი გამოთვლითი ცენტირის ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს.

ქალაქში პირველობა არავის დაუთმო კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველოს გუნდმა, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად აგრომრეწველო კომპლექსის სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვის, ყურძნის წარმოებისა და გადამამუშავების მთავარი სამმართველოების მოკლარაკეთა გუნდები გავიდნენ.

კიდევი პართი

სახელოვანი

საქვეყნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის (თურქი ასეთი სპორტული ორგანიზაციაც არსებობს) დეტლევუ ვაგენარის (გფრ), აზრით, ცეკვები ოლიმპიურ სახეობათა „დიდი ოჯახის“ სრულყოფილებიან წევრი უნდა გახდეს. ამ საკითხს ფედერაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგ სესიოზე ოფიციალურად დააყენებს.

მაგრამ სოკო წესების მიხედვით ასეთი რამ ოლიმპიადის დაწყებამდე 6 წლით ადრე უნდა მოხდეს, ასე რომ, ცეკვები ოლიმპიადის პროგრამაში უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ 1996 წელს შეიძლება ვიხილოთ.

პაეგმანის აზრით, ცეკვის დროს სპორტული დატვირთვა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე, ვაჭვათ, 800 მეტრზე რბენაში, ხელბურთის ან ჩოგბურთის თამაშის დროს.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები მიმდინარე წლის „სპორტლოტოს“ პირველი ტირაჟისა, რომლებიც 4 იანვარს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 647 351 ბარათი.

6 ციფრი ვერაგინ გამოიქნა. 5 ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 2010 მანეთია, ოთხისთვის (1642 ბარათი) — 35, სამისთვის (30837) — 3.

„სპორტლოტო 5-8“-დან: გაიყიდა 5 308 900 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3210) — 165, სამისთვის (124693) — 7.

მოგებულთა თანხის განაღდება პირველი ტირაჟებისა იწარმოებს 1987 წლის 19 იანვრიდან 19 თებერვლის ჩათვლით.

გუშინვე მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეორე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 13 (სამო-სათხილამურო სპორტი), 27 (მშვილდოსნობა), 4 (ბალახის პოკეი), 37 (აკრობატიკა), 42 (ჩოგბურთი), 43 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 8“-დან: 5 (თავისუფალი კიბობა), 11 (ფრენბურთი), 3 (სამოთ-სათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 29 (სასტენლო სროლა).


რედაქტორის მოადგილე
თ. ბაჩიჩილაძე.

ჯერ იყო კიბონი

ამას წინათ ერთი უცხოური გაზეთი წერდა: „გაიხსენით, როგორ აბუზუნდნენ მამაკაცები, როცა ქუჩაში პირველად გაიარა შარვლიანმა ქალმა. მაგრამ ჩვენ დავგვიანეთ. „ომი“ მაშინ უნდა დაგვეწყო, როცა ქალებმა ძიუდოს სექციის მოუხმირეს საარულს. მაშინ ისინი მხოლოდ თიხის შარვლებს იცვამდნენ. დიან, ჯერ კიბონი იყო, მერ — ჯინსი, ველვეტი, „ბანანა“... დღეს შარვლიან ქალი არავის უკვირს, მით უმეტეს, არ უნდა გვაღიზიანებდეს კიბონი ქალი, მამაკაცებო, ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ: ქალები ჩვენი თანასწორები არიან. მათ ისევე აქვთ უფლება ძიუდოზე იარონ, როგორც ჩვენ“ და ქალებიც დადიან, ვარჯიშობენ, შეჯიბრებებზე გამოდიან, თავიანთი ჩემპიონებიც ჰყავთ. ის კი არა და, 1992 წელს ძიუდოსტი ქალები ოლიმპიურ თამაშებშიც იასპარეზებენ.

და თანაც ერთ ქალაქში (ესენი, გფრ) ჩატარდება. ეს ფაქტიც ქალთა ძიუდოს მზარდ პოპულარობაზე მეტყველებს. სხვათა შორის, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან მიღწეულია შეთანხმება 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონების მიერ (8 უძლიერესი ძიუდოსტი ქალი) გაისაღი სეულში გაერთიანებული ტურნირზე საჩვენებელი ბრძოლების გამართვის შესახებ. ეს იქნება, ასე ვთქვათ, ძიუდოსტი ქალთა პირველი არაოფიციალური გამოსვლა ოლიმპიურ ტარაშზე, ოფიციალური „ოლიმპიური ნათლობა“ კი, როგორც ვთქვით, 1992 წელს შედგება.

...ვაყვითა ძიუდოში იაპონელებს საერთაშორისო სარბიელზე ჯერჯერობით ზადალი არა ჰყავთ, მაგრამ ქალთა შორის სხვაგვარადაა საქმე, აქ გამოკვეთილი ლიდერი არა ჩანს. ფავორიტთა შორის არიან საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ის, პოლანდის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრიის წარმომადგენლები. პირველი მსოფლიო ჩემპიონატი „გაიმარჯვეს“ ბრიჯმ (48 კგ, დიდი ბრიტანეთი), ხროვანტა (52 კგ, ავსტრია), ვიხლბაუერმა (56 კგ, ავსტრია), სტაპსმა (61 კგ, პოლანდია), სიმონმა (66 კგ, ავსტრია), ტრიულდომ (72 კგ, საფრანგეთი), ტე გალმა (+72 კგ, იტალია) და ბერგმანსმა (აბსოლუტური კატეგორია, ბელგია). როგორც ხედავთ, ჩემპიონთა შორის არც ერთი იაპონელი სპორტ-



სმენი არ არის. პირველ ჩემპიონატში მხოლოდ იამაგუჩიმ (52 კგ) შეძლო ვერცხლის მედლის მოპოვება. მან 1982 წელსაც ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ორი წლის შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონიც გახდა — პირველი მსოფლიო ჩემპიონი იაპონელ ძიუდოსტი ქალთა შორის. ერთი სიტყვით, ევროპელთა უპირატესობა ამჟამად, მაგალითად, ფრანგებმა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ერთხელ და ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს; რაც ჯერჯერობით სარეკორდო შედეგია. რაც შეეხება ცალკეულ სპორტსმენებს, მედლებზე ყველაზე მედლიან „კოლექციან“ აქვს ბელგიელი ი. ბერგმანსი. მან სამ მსოფლიო ჩემპიონატში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა: სამი — აბსოლუტურ პირველობა-

ფლიო ჩემპიონატში ბრიჯაოს მედალი ერთი პოლონელი მაიდანს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ძიუდოს კავშირის სამედიცინო კომისიის დასკვნა ასეთია: ძიუდო უარყოფითად არ მოქმედებს ქალის ორგანიზმზე, ქალები სწრაფად ითვისებენ ძიუდოს ტექნიკურ არსენალს, მცირდება ტრავმების რაოდენობა, (ტრავმები ქალთა შეჯიბრებებში უფრო ნაკლებია, ვიდრე ვაჟთა ტურნირებში). ძიუდოში ვარჯიში ქალებს საკუთარი ძალისაღმე რწმენას უნერგავს, სხვის ელემენტურობას, კოორდინაციის უნარს, მოქნილობას. პლასტიკურობაზე, მოქნილობასა და მოძრაობის სტრუქტურის თავისებურ რიტმულობაზე დამყარებული ქალთა ძიუდო უფრო ესადაგება სპორტის ამ სახეობის შინაარსს, ვიდრე ვაჟ ძიუდოსტთა ბრძოლის აგრესიული მანერა. ალბათ ესეც არის მიზეზი ქალთა ძიუდოს ასეთი პოპულარობისა.



ში გამარჯვებისთვის, ერთი — 72 კგ წონაში. ბერგმანსი ქალთა ძიუდოში ისეთი ფიგურაა, როგორც გეიშინი და იამასიტო ვაჟთა შორის. საფრანგეთის გუნდში გამოირჩევიან დედე, ლოჟე, კოლიონი, ვინერონი, ავსტრიის ნაკრებში — ხროვანტი და პოში. ზედიზედ ორ მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა ინგლისელმა ბრიჯმ, ბოლო წლებში დიდ სარბიელზე გამოჩნდნენ აგრეთვე, აშშ-ის, იტალიის, ვენესუელის, ავსტრალიისა და ჩინეთის წარმომადგენლები. 1984 წლის მსო-

ფლიო ჩემპიონატში ბრიჯაოს მედალი ერთი პოლონელი მაიდანს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ძიუდოს კავშირის სამედიცინო კომისიის დასკვნა ასეთია: ძიუდო უარყოფითად არ მოქმედებს ქალის ორგანიზმზე, ქალები სწრაფად ითვისებენ ძიუდოს ტექნიკურ არსენალს, მცირდება ტრავმების რაოდენობა, (ტრავმები ქალთა შეჯიბრებებში უფრო ნაკლებია, ვიდრე ვაჟთა ტურნირებში). ძიუდოში ვარჯიში ქალებს საკუთარი ძალისაღმე რწმენას უნერგავს, სხვის ელემენტურობას, კოორდინაციის უნარს, მოქნილობას. პლასტიკურობაზე, მოქნილობასა და მოძრაობის სტრუქტურის თავისებურ რიტმულობაზე დამყარებული ქალთა ძიუდო უფრო ესადაგება სპორტის ამ სახეობის შინაარსს, ვიდრე ვაჟ ძიუდოსტთა ბრძოლის აგრესიული მანერა. ალბათ ესეც არის მიზეზი ქალთა ძიუდოს ასეთი პოპულარობისა.

ქალთა ძიუდოს განვითარებისთვის სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა საბჭოთა კავშირშიც. 1984 წელს საკავშირო სპორტკომიტეტმა მიიღო დადგენილება „ქალთა შორის ძიუდოს განვითარების შესახებ.“ იმავე წელს ტარტუში ჩატარდა ძიუდოსტი ქალთა პირველი საკავშირო პირადი შეჯიბრება, შარშან კი მოსკოვში პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. დღესთვის ჩვენს ქვეყანაში ძიუდოს სექციებში 15 ათასამდე ქალია გაერთიანებული. ქალთა ძიუდო ინერგება საქართველოშიც. მართალია, მომეცადინეთა რიცხვი ასს არ აღემატება, მაგრამ ქართველმა ძიუდოსტმა ქალებმა საკავშირო სარბიელზე უკვე გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს ნანა ასრათაშვილს, რომელმაც პირველობა მოიპოვა საკავშირო პირველობის მედალი. ჩვენთან ქალთა ძიუდო ჯერჯერობით „დინამოსა“ და „შრომით რეზერვებში“ დანერგული, მეცადინეობას უძღვევებიან გოდერძი ველაჯანაშვილი და ალექსანდრე ოქრობერიძე.

ელგუჯა სალხინიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეკრებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ბალეფონები:
სამდივო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერაბი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩვენი
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
66485

საქართველოს კ. ც. -ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოქტებური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაული, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უკ 05206